<u>მემკვიდრეობა</u>

1921 წლის აპრილის დასაწყისში თბილისში გამომავალ გაზეთ „სოციალისტ-ფედერალისტში“ რუბრიკით „პოლიტიკური შენიშვნები“ გამოქვეყნდა კონსტანტინე გამსახურდიას წერილი: „ტრაგედიის მეორე ნაწილი“, რომელიც რედაქციამ სადისკუსიოდ მიიჩნია. კონსტანტინე გამსახურდია შეეცადა რუსეთის წითელი არმიის მიერ საქართველოს ოკუპაცია მსოფლიო გეოპოლიტიკის კონტექსტში გაეაზრებინა. კონსტანტინე გამსახურდიას სტატია ასახავს საქართველოს გასაბჭოების პირველ დღეებში ქვეყანაში არსებულ განწყობას.

კონსტანტინე გამსახურდია

პოლიტიკური შენიშვნები: ტრაღედიის მეორე ნაწილი

1919 წლის შემოდგომით ჩემს წერილებში „ხალხთა ლიგა“, უწინასწარმეტყველე ხალხთა ლიგას, რომ იგი მკვდრად შობილი ორგანიზაცია დარჩება თუ მისი ძირითადი პრინციპები შეცვლილი არ იქნება, თუ ეს ხალხთა ლიგა პარიზის უზენაეს საბჭოს ფილიალი ღა იქნება და ბოლოს თუ გერმანია-ავსტრია არ შევა მასში როგორც სრულ უფლებიანი წევრები საერთო ევროპიულ ერთა ოჯახისა. ეს ასეც მოხდა.

ვერსალის ზავით ვერ დაბოლოვდა მსოფლიო ომი. წინააღმდეგ 1919 წლის მაისიდან ე. ი. რაც გერმანიის მთავრობაში ხელი მოაწერეს ძალით ვერსალის ზავზე, იწყება მსოფლიო ომის მეორე პერიოდი. ფაქტიურად ზავი დიდი ხანია შეკრულია, „ცივულიზაციისთვის, დემოკრატიის-

თვის და ერთა egalite“-სთვის მებრძოლი დიპლომატები ანტანტისა დღესაც განაგრძობენ აშკარა ომს. არა მარტო გერმანიის, არამედ ევროპის დიდი უმეტესობის და აზიის ერების წინააღმდეგ.

ანტანტის დიპლომატია ძველი გზით მიდის. ეს გზა იგივე დარჩა, რაც ევროპულ დიპლომატიის პრაქტიკაში ცნობილი იყო ნაპოლეონ პირველის დროიდან. ამ შოვინისტური პოლიტიკის ტრადიციული პაროლი იყო: ზავი და კავშირი ახალი ომებისათვის.

ვერსალის ზავი სანამ არ დაირღვევა, ჩვენ მოსვენებას არ ვეღირსებით. სანამ ვერსალის ზავის საფუძვლები არ იქნება შერყეული ალპებსა და რაინს გადმოღმა ევროპა ვერ მოისვენებს.

ყველას ეგონა, რომ ვერსალის შეცდომები ან სანრემოში, ან ლონდონში, ან სევრში შეიცვლებოდა. ლოიდ ჯორჯ-მილერან-ბრიანები თავიანთი პოლიტიკის გეზის შეცვლის ნაცვლად დღითი-დღე უმატებენ ნავთს, ევროპის შუაგულში დანთებულ ცეცხლში.

დღეს უფრო მეტის ენერგიით ებრძვის შოვინისტური საფრანგეთი გერმანიას რურისა და შლეზიის ინდუსტრიალურ ოლქების ხელიდან წასაგლეჯად.

ლოიდ ჯორჯ-კრასინის ვაჭრობაც ლონდონში, ისეთ პოლიტიკის ნიშნის ქვეშ მიდის, რომელსაც შაიდემანდმა „ძროხებით მოვაჭრეთა პოლიტიკა“ უწოდა.

მე მჯეროდა, რომ ფხიზელი და გონება მახვილი ლოიდ ჯორჯი მაინც შეიგნებდა, რომ ქე დორსაიო ვაჟბატო-

ნებს ევროპის განადგურება უნდათ, რადგან გერმანიის განადგურებას მუდამ ევროპის განადგურება მოყოლია.

ანტანტის პოლიტიკოსები გულშიშიანად ადევნებენ თვალს, თავიანთი ბრმა პოლიტიკის წყალობით, თუ როგორ უახლოვდებიან ერთი მეორეს ვერსალის ზავით უფლება აყრილი ერები, გერმანია, ავსტრია, ოსმალეთი და რუსეთი,

ქე დორსაის გულუბრყვილო დიპლომატებს ჰგონიათ, რომ პოლონეთის ბუფერი და დანციგის კორიდორი შეაკავებს გერმანია-რუსეთის შეკავშირებას.

რუსეთი ევროპას მუდამ აზიაში ებრძოდა. ასე რომ ლენინის აღმოსავლეთის პოლიტიკა ამ მხრით ახალს არაფერს შეიცავს. ინგლისის აქილესის ქუსლიც აღმოსავლეთშია. სულ სხვაა, თუ ის ლოზუნგები, რომელიც ლენინმა გადისროლა აღმოსავლეთში კონსერვატიულ აღმოსავლეთის ერებისათვის სრულიად გაუგებარია, რადგანაც ყოველნაირ ინდუსტრიალიზმს მოკლებული აღმოსავლეთი ვერც შეითვისებს სოციალური რევოლიუციის ლოზუნგებს, სამაგიეროდ ლენინის ლოზუნგებში ერთი თვალის მომჭრელი ლოზუნგიც ურევია, ეს გახლავთ დაჩაგრულ ერთა განთავისუფლება. ამ ნიადაგზე კი ყოველ ერთან შეუძლია ლენინს საერთო ენის გამოძებნა. ჯერ-ჯერობით აღმოსავლეთის ერებში ყველაზე მეტი ელასტიურობა ოსმალეთის დიპლომატიამ გამოიჩინა. თუ ქემალი საბჭოთა საქართველოს ნაწილებზე არ გადაიმტერებს რუსეთს, ცხადია ყვე-

ლაზე უკეთესი მოკავშირე რუსეთისა მუსტაფა ქემალი იქ-ნება. ერთი სიმძიმის ცენტრიც სტამბოლშია.

მორიგი საკითხი იქნება ამის შემდეგ თეჰერანში სპარს-ინგლისელთა ხელშეკრულების აფეთქება.

ვიმეორებ ჩვენ შევედით მსოფლიო ომის მეორე პერი-ოდის ზონაში.

დასავლეთით რუსეთ-გერმანიის კავშირის (ან შესაძ-ლო კავშირის) მორიგი საკითხი იქნება პოლონეთის მეოთ-ხე დაყოფა. შემდეგ საერთო ძალებით შეტევა აღმოსავ-ლეთში. აქ კი ანტანტის დიპლომატიას ორი გზა დარჩენია: ან შეთანხმება, ან აქტიური ბრძოლა რაიონს გადმოღმა, რადგანაც ინგლისს არ შეუძლია კონტინენტალურ ჯარების გადმოსხმა ინდოეთში. ამ შემთხვევაში ბრძოლის არენად გერმანია გახდება, რომელშიაც ომის პირველ პერიოდში არც ერთ მტრის ლაშქარს ფეხი არ მოუმაგრებია. მეორე გზა იქნება გზა შეთანხმებისა. რურის, სილეზიის დათმობა, რა-იონის განთავისუფლება, საბჭოთა რუსეთის ცნობა და საბ-ჭოთა რუსეთისა და გერმანიის სწორ უფლებიან სახელმწი-ფოებად აღიარება.

სოციალური რევოლიუციის ლოზუნგები, რომლითაც ლენინი ბურჟუაზიულ ევროპას ემუქრება ანტანტისათვის ევროპაში საშიში არაა.

ეს ლოზუნგები საბჭოთა რუსეთის პოლიტიკის სარ-ჩულია მხოლოდ, როცა გერმანები რაიონის პირად მდება-რე რომის იმპერიის სიმაგრეებს მიადგნენ, ისინიც ლენინი-

ვით ეუბნებოდნენ ცეზარის ლეგიონებს: ჩვენ არც მიწა გვაქვს და არც სათესლე, მოიტათ მიწა, მოიტათ სათესლე.

რუსეთი ხელცარიელი გამოვიდა მსოფლიო ომიდან, მას დარჩა მხოლოდ ის ვალები, რომელიც ტყვია წამლისთვის აიღო ნიკოლოზ მეორის რუსეთმა. რუსეთი ეკონომიურად განადგურდა. ცხადია ანტანტის სახელმწიფოებმა დანაკლისი უნდა შეუვსონ რუსეთს ნებსით ან უნებლიეთ.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გადალახვით რუსეთის აღმოსავლეთის პოლიტიკა უფრო აქტიურ ხასიათს იღებს. ცხადია საბჭოთა საქართველოც ამიერიდან გერმანია-რუსეთის ბუნებრივ კოალიციაში უნდა შევიდეს.

მსოფლიო ტრაღედიის მეორე ნაწილი დაიწყო.

ქვეყანამ დაინახა რომ ლოიდ ჯორჯ-ვილსონ-კლემანსოს პოლიტიკამ, ვერც ვერსალში გაჭედილმა ხუნდებმა, ვერც უქმად მოლაყბე ერთა ლიგამ, ვერს სანჟერმენმა, ვერც სანრემომ, ვერც ლანდობა და ვერც სევრმა ევროპას მშვიდობიანობა ვერ მოუპოვა.

ანტანტის მოძველებულმა დიპლომატიამ ვერ გაჭრა გორდიის კვანძი.

დასავლეთ ევროპაში ერების დამოკიდებულებათა საქმე დღითი დღე რთულდება.

ტრაღედიის პირველ ნაწილში ერების ბედი გადაწყდა დასავლეთში, შამპანის ნაყოფიერ მიდამოებში.

ტრაღედიის მეორე ნაწილში, რაკი შეთანხმებით არაფერი ხერხდება, ალექსანდრეს მახვილია საჭირო გორდიის კვანძის გასაჭრელად.

ტრაღედიის მეორე ნაწილი აღმოსავლეთში იპოვნის ფინალს, რადგან ვერც გერმანია და ვერც რუსეთი ევროპაში ვერას დააკლებენ ანტანტას. ჯერ კიდევ გამოურკვეველი სახე აქვს მეორე პერიოდს.

ანტანტის მოწინააღმდეგე ძალთა კრისტალიზაცია ჯერედ არ დასრულებულა.

ბევრი რამ გამოირკვევა ჩვენი სამშობლოს საზღვრებზე. საბჭოთა საქართველოს საზღვრებზე გამოირკვევა, შეუძლია თუ არა მუსტაფა ქემალს ლენინთან სიარული.

ტფილისი აპრილის 1-ს

კ. გამსახურდია

”სოციალისტ-ფედერალისტი”, 1921 წ. 2 აპრილი, N 28, გვ.2-3